განმარტებითი ბარათი

შევიდა მეხუთე ცვლილება ახალციხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში კერძოდ: 2025 წლის 30 ივლისის საქართველოს მთავრობის #1212 განკარგულების საფუძველზე შევიდა ცვლილება, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულებაში, კერძოდ გაიზარდა გეგმა „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილ ტრანსფერებში, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის შემოსავლების ნაწილში 601 035,00 (ექვსას ერთი ათას ოცდათხუთმეტი) ლარით, შესაბამისად გაიზარდა გეგმა გადასახდელების ნაწილშიც სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებში, კერძოდ:

ახალი გზების მშენებლობის (ორგანიზაციული კოდი 02 01 02) ორგანიზაციულ კოდში არაფინანსური აქტივების მუხლში 401 035,00 (ოთხას ერთი ათას ოცდათხუთმეტი) ლარით.

კულტურული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა (ორგანიზაციული კოდი (05 02 08) ორგანიზაციულ კოდში არაფინანსური აქტივების მუხლში 200 000,00 (ორასი ათასი) ლარი.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის #1207 განკარგულების საფუძველზე, რომელიც შეეხება „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ განხორციელების მიზნით“ გასატარებელ ღონისძიებებს, გაიზარდა გეგმა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების შემოსულობების ნაწილში გრანტების (ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები) მუხლში 344 899,00 (სამას ორმოცდაოთხი ათას რვაას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარით,

შესაბამისად გაიზარდა გეგმა გადასახდელების ნაწილშიც, ახალი გზების მშენებლობის (ორგანიზაციული კოდი 02 01 02) არაფინანსური აქტივების მუხლში 85 000,00 (ოთხმოცდა ხუთი ათასი) ლარით, წყალსადენისა და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცის (ორგანიზაციული კოდი 02 02 03) ორგანიზაციულ კოდში არაფინანსური აქტივების მუხლში 20 000,00 (ოცი ათასი) ლარით, გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა (ორგანიზაციული კოდი (02 03 02) არაფინანსური აქტივების მუხლში 24 899,00 (ოცდაოთხი ათას რვაას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარით, პარკებისა და სკვერების მშენებლობა-რეაბილიტაციის (ორგანიზაციული კოდი 02 07 03) არაფინანსური აქტივების მუხლში 85 000,00 (ოთხმოცდახუთი ათასი) ლარით, სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა (ორგანიზაციული კოდი (05 01 02) ორგანიზაციულ კოდში არაფინანსური აქტივების მუხლში 130 000,00 (ას ოცდაათი ათასი) ლარით.

ახალი გზების მშენებლობის (ორგანიზაციული კოდი 02 01 02) ორგანიზაციულ კოდში ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრების არაფინანსური აქტივების მუხლიდან 50 000,00 (ორმოცდაათი ათასი) ლარი გადატანილი იქნა ა(ა)იპ ახალციხის სერვის ჯგუფის (ორგანიზაციული კოდი 03 02) ორგანიზაციულ კოდში სუბსიდიის მუხლში.

აღნიშნული ცვლილების შემდეგ ახალციხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილმა სულ შეადგინა 46 035 585,24 ლარი მ.შ (სახელმწიფო ბიუჯეტით 8 850 285,24 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტით 37 185 300,00 ლარი), გადასახდელებმა სულ შეადგინა 52 919 984,76 ლარი მ. შ (სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები 9 421 490,76 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები 43 498 494,00 ლარი) ლარი.

პატივისცემით,
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: /გელა ლომიძე/